



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 192

2015 წლის 21 თებერვალი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული  
საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული  
პროექტების დამტკიცების შესახებ

„სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო კონკურსის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს N133/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის მარიამ ქებურიას სამსახურებრივი ბარათის (N1315929, 17.12.2015) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული შემდეგი პროექტები:
  - ა) „სეისმური რისკის შეფასების წინასწარი შესწავლა საქართველოს სტრატეგიულ ქალაქებში“ - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდისა გეოფიზიკის ინსტიტუტი
  - ბ) „ქირალური სულფოქსიდების და ჰიდანტონების სინთეზი, მათი ენანტიომერების დაყოფა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით და ქირალური გამოცნობის მოლეკულური მექანიზმების კვლევა“ - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
  - გ) „ცოდნისა და კულტურის გავრცელება უძველეს წარსულში: წინა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ძვ.წ. 3-2 ათასწლეულების მხატვრული ხელოვნობის ტრანსლაციის კონცეფციის კვლევა“ - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - დ) „საქართველოსა და იტალიის ენდემური ენტომოპათოგენური ნემატოდების დახასიათება და მათი პოტენციალის შესწავლა“ - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;
  - ე) „სოლიტონური ტრანსპორტი მაგნიტურ ნაონაწილაკოვან სისტემებში“ - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - ვ) ეგოსური სამყარო და სამხრეთ კავკასია (კულტურული ურთიერთობები ბრინჯაოს ხანაში) - შპს კავკასიის უნივერსიტეტი.

2. დაევალოს ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2015 წლის 25 დეკემბრისა;
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

